* * *

ჩააქრეთ სულში სიონის ზარი
და ალავერდის წმინდა სანთელი,
ომში მიმავალ სამას ხევსურის
დიდ საყვირების კორიანტელი,
რომ არ ვხედავდე ცხელი შანთებით
შე გალურჯებულ დედოფლის ძუძუს,
რომ არ ვხედავდე სისხლის მარაბდას
ვაჟკაცთა ძვლებით ჩაკირულ კუნძულს:
რომ არ სტიროდეს ძველი მირონით
დაობლებული სვეტიცხოველი:
რომ ღვთისმშობელსაც არ ჰქონდეს მუდამ
დახვრეტილ თვალზე ცრემლი სოველი:
რომ ზღვათა მეფის დადიანის ქალს
არ მოკვდომოდა შვილი ოტია რომ არ მესმოდეს მართლა მიწისძვრა,
რომ მონგოლები ქართლზე მოდიან:
რომ არ მესმოდეს არაგვზე ოხვრა
ბატონიშვილის ალექსანდრესი:
რომ წიწამურზე ძვლების მაგიერ
არ იყოს ქვები სისხლით ნალესი.
ვინ გააჩერებს ამ ხმების გრიგალს= ამდენი ძვლები რად დამიგროვეთ!
შე თუ მომთხოვდით სიმღერას ახალს,
მე თუ გინდოდით თანამედროვედ?..
ნუ შემიბრალებთ – მე ვარ ნაცარი,
ნუ შემიბრალებთ – მე გავხდი მტვერი,
ნუ შემიბრალებთ, ეს არს რაც არი,
რომ აგონიით ასე ვიმღერი...

5 აგვისტო, 1926 წ.
ტფილისი.